ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 6

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 16.04.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე , გელა ღვიტიძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -**მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის და საკრებულოს წევრის ფიცის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გიორგი ივანიაძე

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დავით გაბუნია

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. მიხეილ სვანაძე

4. ვანის მუნიციუპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ივანე მამფორია

5. ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის და საკრებულოს წევრის ფიცის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის მიზანია , სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, განსაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტები, აგრეთვე ხელი შეუწყოს საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას, საკრებულოს წევრის მიერ საკუთარი მოვალეობების ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულებას.

საკრებულოს წევრის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა კარგი თვითმმართველობის ერთერთი უმთავრესი კომპონენტია. იგი გააუმჯობესებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას და ხელს შეუწყობს საკრებულოს წევრებს შორის კოლეგიალობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას. ამასთანავე, ეთიკის კოდექსი არ ზღუდავს საკრებულოს წევრის უფლებას პირად ცხოვრებაზე, ასევე მათ უფლებას პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობაზე.

კოდექსი შედგება 6 მუხლისაგან. ასევე თან ერთვის საკრებულოს წევრის ფიცი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის და საკრებულოს წევრის ფიცის დამტკიცების შესახებ.“

(დადგენილება N 10)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ დებულებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1.სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების , შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების იდენტიფიცირება და საჭიროებების კვლევა, 2. მიზნობრივი ჯგუფების სოციალური მომსახურებებით უზრუნველყოფის მიზნით შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი ღონისძიებები, 3. წარსულში კანონთან კონფლიქტში მყოფ სრულწლოვან პირებთან მუშაობა, 4. ადიქციის მქონე, სრულწლოვანი პირების იდენტიფიცირება და საჭიროებების შეფასება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი,

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N 11)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება მისი სამსახურის დებულებაში, არის იგივე რა ცვლილებაც წარმოადგინა დავით გაბუნიამ მერიის დებულებაში, რომელიც ეხება უშუალოდ მის სამსახურს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28
წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ივანე მამფორიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციუპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ."

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15624,8 ათასი ლარის, გადასახდელები 16948,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1324,1 ათასი ლარის მოცულობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 15524,8 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 15774,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,6% -ს შეადგენს.
გადასახადების 2020 წლის საპროგნოზო მოცულობა 5763,2 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 6033,4 ათასი ლარი წლიური გეგმის 104,7%-ია.
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტების 2020 წლის გეგმა 9369,8 ათასი ლარით განისაზღვრა. ფინანსთა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან დაფინანსების მიღების პროცესი იწარმოებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით. მიღებული დაფინანსება 9327,0 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 99,5%-ს.
სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 391,8 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 413,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა გადაჭარბებით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 105,6%.
არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 107,2 ათასი ლარი შეადგინა, წლიური გეგმის 107,2%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2020 წლის გეგმიური მაჩვენებელი 16948,9 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 93,9-%, 15923,1 ათასი ლარი შეადგინა.

გიორგი ივანიაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში" შეფასდეს დადებითად და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 28
წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციუპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ."

(განკარგულება N 27 13)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუქედის თემისთვის შერჩეულ პროექტებში შევიდა ცვლილება.

კერძოდ, მოსახლეობის მოთხოვნით შეძენილი იქნება საბავშვო ატრაქციონები და სპორტული ინვეტარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 28
წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

(განკარგულება N 27 12)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე